PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-„კოლეჯი მოდუსის“
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ნიკოლოზ კიკნაველიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი მოდუსი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მებოსტნეობა	30	11	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

ადმინისტრაციული წარმოების მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.01.2022 N 28354 და N78052 (28.01.22) ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „მებოსტნეობის“ (განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი,იაღლუჯის დასახლება) - ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმებისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის, იაღლუჯის დასახლების მისამართისთვის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შემოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელება საგჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და განახორციელა ვიზიტი მიმდინარე წლის 10 თებერვალს მარნეულში. მარნეულის ლოკაციის ფუნქციონირებისთვის კოლეჯი მოდუსის სტრუქტურით განსაზღვრულია 7 საშტატო ერთეული: მარნეულის ფილიალის მენეჯერი,რომელიც ექვემდებარება კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი,პროფესიული განათლების მასწავლებლები, უსაფრთხოების ცვლის უფროსი, უსაფრთხოების ცვლის მორიგეები და დამლაგებლები.

*ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, A,B,A/C და C გარემოს(სათბური), ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად.**(იხ.დანართი 1- ვიზიტის განრიგი)** ინტერვიუ შედგა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ შორის კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითრებაზე, მატერიალურ და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებთან, პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან, იურისტთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან. წარმოების დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა მიგნებები და გააცნო დაწესებულებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნდა აღინიშნოს, დარგის ექსპერტს ვიზიტამდე დაუდასტურდა კოვიდ 19, აქედან გამომდინარე ის დისტანციურად იყო ჩართული ვიზიტის განმავლობაში. მის მიერ მოხდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში გამოგზავნილი დოკუმენტების შესწავლის, განხორციელებული ვიზიტისა და დისტანციური ჩართვების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა წინამდებარე დასკვნა.

V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილებად შესაძლებელია ჩაითვალოს კოლეჯის ახალი შენობა მარნეულში და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოწყობილი A/C და C გარემო(სათბური), სადაც პროფესიული სტუდენტები/მსმენელები შეძლებენ მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზებას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

<u>შესაბამისობის რეკომენდაციები</u>

2.2.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მებოსტნეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/ სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; რეკომენდირებულია სწავლის დაწყებამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ უზრუნველყოს „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება. ***სტატუსი- შესრულებული***

5.1.1.4. კოლეჯმა უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი 30.08.21); ***სტატუსი- შესრულებული***

5.1.2.1. კოლეჯმა მიმართოს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს და მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი 30.05.21); ***სტატუსი- შესრულებული***

5.1.2.4. კოლეჯმა უზრუნველყოს კამერების დამონტაჟება. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი 30.07.21); ***სტატუსი- შესრულებული***

5.2.1.1. კოლეჯმა უზრუნველყოს ინტერნეტ-კომუნიკაციის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი 30.06.21); ***სტატუსი- შესრულებული***

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები</u>

2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მებოსტნეობა“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. რეკომენდებულია ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით. ***სტატუსი- შესრულებული***

5.1.1.1. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ფორმაში იქნას ასახული შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის; ***სტატუსი- მიმდინარე***

5.1.2.3. დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები: უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგე, ამავე ბრძანების მესამე პუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: უშუალო სამუშაო ადგილებზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების სამუშაო დრო და ხანგძლივობა არის არასრული განაკვეთი, ასევე მათთვის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება არ დგინდება, კოლეჯს ეძლევა შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაცია: სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საშტატო ერთეულით/პოზიციით დასაქმებული პირები და უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი სწავლების ჩატარება. ***სტატუსი- შესრულებული***

5.2.3.1. რეკომენდირებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ვებგვერდზე პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას სტუდენტებისთვის - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge), განთავსებული იყოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტებისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაცია. ***სტატუსი- შესრულებული***

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი რეკომენდაცია

რეკომენდირებულია კოლეჯმა, პრაქტიკიკული კომპონენტის მდგრადობის შენარჩუნების და მისი ეფექტიანად განხორციელების მიზნით დამატებით, საკუთარი რესურსით, უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ტრანსპორტირება პრაქტიკის ობიეტებზე, რომლებიც მოშორებულია კოლეჯიდან. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ავტოპარკი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მოახდენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირების უზრუნველყოფას პრაქტიკის ობიექტებზე.

სტანდარტების მიხედვით

2.2.1.-1. *(1) ექსპერტების მიერ დათვალიერებული მარტივის ტიპის დამხმარე სასათბურე ნაგებობა, იძლევა შესაძლებლობას პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული, თუმცა მომავალში გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერაში გაკონტროლებული უნდა გვქონდეს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სარგავი მასალის / ჩითილების გამოშრობა. შესაბამისად სასურველია კოლეჯმა, სამომავლოდ გაითვალისწინოს და სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერის შემცვლელი მარტივი ტიპის სასათბურე მეუნრეობა აღჭურვოს ნისლის გამფრქვევი სპეციალური სპინკლერებით, რომლებიც მთელი სათბურის პერიმეტრზე უზრუნველყოფენ ფარდობითი ტენიანობის გაზრდას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1-1. (2) რეკომენდირებულია უახლოეს დროში კოლეჯმა გააფორმოს ხელშეკრულებები კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, სადაც დაზუსტებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო დრო და პირობები.

5.1.2 -2. *კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმეგებელია უსაფრთხოებასა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. მას კომპეტენტური პირის/ორგანოს მიერ ჩატარებული აქვს გადამზადება პირველად სამედიცინო დახმარებაში, თუმცა ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ კოლეჯმა უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით მედდის დანიშვნა კოლეჯში.*

5.2.3-2. *რეკომენდირებულია კოლეჯის უცხოენოვანი ვებ-გვერდის სრულყოფა, რადგან კოლეჯი გეგმავს საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 . და 5.2. კომპონენტის შესრულების შემოწმების შესახებ

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 83.20.01.585 კოლეჯი განთავსებულია ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართზე განთავსებულ N1, N2, N3. შენობა-ნაგებობაში, საერთო ფართით 9022 კვ.მ. 2021 წლის 23 აპრილიდან უძრავი ქონების უვადოდ მოსარგებლეა კოლეჯი მოდუსი. ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობა, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები;
- ადმინისტრაციული სივრცე;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული და შემოქდებითი საქმიანობისათვის;
- სანიტარიული კვანძები, შშმ პირთათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სივრცე არქივისთვის;

ექსპერტების მხრიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა აღნიშნული სივრცეების შესახებ დოკუმენტი. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი, სადაც ასახულია შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;

კოლეჯს აქვს მოწესრიგებული ეზო, შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, ლიფტი. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსით, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით და სხვა რაც ასევე დასტურდება, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის(უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრის ამონაწერი) განხილვის, ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N 107 ბრძანებით დამტკიცებულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურა, რეგულაცია უზრუნველყოფს მათ დაცულობას, მოვლა-პატრონობას, რესურსით ყველა დაინტერესებული პირის მიერ თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას, პირობებს, საჭიროების შემთხვევაში გადაცემის და უკან ჩაბარების პროცედურას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის N156 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომლის მუხლი 21 (პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები), პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია: სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით. გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის. ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით; ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან. გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტებისთვის; ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. მარნეულის ლოკაციაზე კოლეჯს დამლაგებლის პოზიციაზე დანიშნული ჰყავს ორი თანამშრომელი, რომლის სამუშაო აღწერილობის თანახმად დამლაგებლის ფუნქცია მოვალეობებია: შენობის შიდა პერიმეტრის დასუფთავება; კოლეჯის გარე პერიმეტრის დასუფთავება; კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა; სველი წერტილების რეგულარული დასუფთავება და ყოველდღიურად დეზინფექციის ჩატარება; სართულებზე არსებული სველი წერტილების ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება; ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ასევე დათვალიერებულ იქნა კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცე და დადგინდა, რომ დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4. შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ექსპერტთა ვიზიტის დროს ცენტრალური გათბობის სისტემა გამართულად მუშაობდა. ექსპერტებმა ვიზიტის დროს მოითხოვეს და შეისწავლეს დაწესებულების მიერ ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებიც, რაც ადასტურებს ბუნებრივი აირის მიწოდებას და მოხმარებას.

5. მარნეულის ლოკაციაზე დანიშნულია კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს რისკების შეფასებისა და მართვის საკითხებს, უფლებამოსილი პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ფუნქცია-მოვალეობებს, ინციდენტების და უბედური შემთხვევების მოკვლევის პროცედურებს, პროფესიულ დაავადებათა პრევენციას, საგანგებო სიტუაციების მართვას და ევაკუაციის წესს, სამუშაო ადგილის უსაფრთხოების წესებს, დასაქმებულთა და ვიზიტორთა ინსტრუქტაჟების ჩატარების საკითხებს და ინსპექტირების საკითხებს. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულთან გასაუბრებით დგინდება, რომ მას ჩაუტარდა სწავლება (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟი, დაწესებულების მიერ ასევე გამოგზავნილია შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N 107 ბრძანებით დამტკიცებულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურა, რეგულაცია უზრუნველყოფს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისათვის სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფას, მათ შენახვას და გამოყენებას. ასევე დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილია ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

7. კოლეჯს შემუშავებული აქვს მატერიალური ფასეულობების შეფასებისა და განვითარების მექანიზმები, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმა მოიცავს აქტივობას „დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის სისტემატური მონიტორინგი და შეფასება“. ასევე შესრულებულია გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც არ არის ინფორმაცია მარნეულის ლპკაციაზე განხორციელებული პროცესების შეფასების შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რადგანაც 2021 წლის ბოლოს დაიწყო სასწავლო პროცესი მარნეულის ლოკაციაზე და საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის შეფასება არ მომხდარა. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 2022 წლის სამუშაო გეგმა, მოიცავს მარნეულის ლოკაციის მატერიალური რესურსის შეფასებისა და განვითარების შესაბამის აქტივობებს. კოლეჯში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ექსპერტებს არ აქვთ ეჭვის საფუძველი, რომ წლის განმავლობაში მოხდება მატერიალური რესურსების შეფასება და საჭიროებისამებრ მოხდება რესურსების შემდგომი განვითარება. ექსპერტთა შეფასებით ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი რეგულარულად ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8. ექსპერტთა შეფასებით მარნეულის ლოკაციაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით(მიუხედავად იმისა, რომ წყალი მიეწოდება გრაფიკით კოლეჯის სარდაფში განთავსებულია წყლის ავზები), აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის (კერძოდ დაგებულია უსინათლოთა ბილიკი, უზრუნველყოფილია ლიფტით). დათვალიერებით დასტურდება, კოლეჯის შენობის ორივე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები (2-2 კაბინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის). შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისთვის.

9. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

10. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტებმა დაათავლიერეს კოლეჯის შენობის ორივე სრთულზე განთავსებული A, B, C და A/C სასწავლო გარემო, მათ შორის სათბური. ექსპერტთა შეფასებით ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

11. მარნეულის ლოკაციის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში სარგებლობის წესები(მუხლი 4), მომხმარებელის უფლებამოვალეობები, წიგნების გატანის წესი, კომპიუტერით სარგებლობის წესები და სხვ. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად აღრიცხულია საბიბლიოთეკო ფონდი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შექმნილია ელექტრონული კატალოგი; სამუშაო დროს სტუდენტებსა და მასწავლებლებს დაუბრკოლებლად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებსა და ელექტრომატარებლებზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამუშაო მაგიდები სტუდენტებისათვის, ასევე ქსელში ჩართულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპიუტერები და ასლგადამღები; კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ შექმნილია ელექტრონული ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტებს შეუფერხებლად შეუძლიათ ისარგებლონ სასწავლო რესურსებით, როგორც კოლეჯიდან ისე ნებისმიერი ლოკაციიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით - ამონაწერი რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზებით;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით, მიღება-ჩაბარების აქტებით;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურით/რეგულაციით ;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- შევსებული სპეციალური ფორმით, რომლითაც დასტურდება კოლეჯის სივრცეების/ფართების ფლობა:
- მატერიალური ფასეულობების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებით;
- კომუნალური მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- გასაუბრების შედეგებით;
- დათვალიერების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს მოპოვებული აქვს კომპეტენტური ორგანოს (ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ მარნეულის ლოკაციის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. ექსპერტებმა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეისწავლეს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 3, გაცემული 13.01.2022. აქტში დაფიქსირებული კოლეჯის შენობის შემაჯამებელი შეფასება/მდგომარეობა შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N 86 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები, მუხლი 4 არეგულირებს პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფას. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში არის ფართი, სადაც მოხდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; სამედიცინო დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ 112-ის საშუალებით გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პირს, რომელიც პასუხისმეგებელია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. მას კომპეტენტური პირის/ორგანოს მიერ ჩაუტარდა გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარებაში, თუმცა დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით მედდის დანიშვნა კოლეჯში.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციების მართვას და ევაკუაციის წესს, აღნიშნულ წესში გაწერილია საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში უფლებამოსილი პირების ფუნქციები. აღნიშნული პოლიტიკის ანალიზის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე დასაქმებულთან გასაუბრებით დგინდება, რომ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა მის მიერ. დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, კოლეჯის მარნეულის მისამართზე სახანძრო უსაფრთხოების პირად განისაზღვრა უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგე. მათთვის ჩატარებულია სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. გეგმა უზრუნველყოფს კოლეჯში შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენიოთი ღონისძიებების ჩატარებას. გეგმა შემუშავებულია კოლეჯის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 30 დეკემბრის N396 ბრძანებით.

4. კოლეჯის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით დანიშნული ჰყავს უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგეები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან წესრიგის დაცვაზე. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა პერიმეტრზე, მათ შორის სასწავლო კაბინეტებში (გარდა სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით რეესტრიდან;
- კოლეჯის საევაკუაციო გეგმით;
- ხელშეკრულებით დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი მოდუსი მარნეულის საგანგებო მართვის გეგმით;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით;
- უსაფრთხოების ცვლის უფროსის და უსაფრთხოების ცვლის მორიგეების პირადი საქმეებით და დანიშვნის აქტებით;
- გასაუბრების შედეგებით;
- დათვალიერების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია IT სპეციალისტის შტატი. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; კოლეჯის შენობა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი კომპიუტერების რაოდენობით. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური. კოლეჯში ინტერნეტ-კომუნიკაციის სისტემა გამართულია, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ხელმისაწვდომი იყო უსადენო ინტერნეტი.

2. ექსპერტებთან გასაუბრების დროს კოლეჯის IT სპეციალისტმა განმარტა, რომ სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; კოლეჯის წარმომადგენელებმა გასაუბრების დროს ექსპერტებს გაუმარტეს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეფასება ასევე ხდება კოლეჯის ინვენტარიზაციის დროს. ექსპერტებმა შეისწავლეს IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა, სადაც გაწერილია შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

3. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ კოლეჯში არსებობს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. ექსპერტებმა შეისწავლეს მასწავლებელთან, ადმინისტრაციასთან და მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული თანხმობას აცხადებს კოლეჯმა გაასაჯაროოს მისი პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ: პირადი ნომერი, სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ.ფოსტა, მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ;

4. ექსპერტებთან გასაუბრების დროს კოლეჯის IT სპეციალისტმა განაცხადა, რომ სისტემატურად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; დაწესებულებას შემუშავებული აქვს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის , IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N390 ბრძანებით 28.12.2021. პოლიტიკის მიზანია კოლეჯმა უზრუნველყოს ერთიანი პრინციპით მოქმედი უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული ნაწილისათვის. პოლიტიკა განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის შესაბამისი გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით;

6. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას კორპორატიული მეილების საშუალებით, კოლეჯის ყველა პერსონალს და პროფესიულ სტუდენტს აქვს კორპორატიული მეილი. ასევე დაინტერესებული პირებისთვსის შექმნილია ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება. კოლეჯში უკუკავშირისთვის მუშაობს სმს-დაგზავნის სისტემა,ინფორმაციის მიწოდებისთვის ასევე იყენებენ ადგილობრივ მედია საშუალებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგით ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი - გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის სამოქმედო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკით;
- IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით;
- კოლეჯის IT სპეციალისტთან გასაუბრებით;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „მოდუსს“ შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, აღნიშნული ინსტრუქცია განსაზღრავს დოკუმენტების მოძრაობის წესს, კოლეჯში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს კოლეჯის არასაიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობის წესს, კოლეჯის ბრძანებების, ოქმების, აქტების, სამსახურებრივი ბარათების, მოქალაქეთა განცხადებების, წერილებისა და შემოსული კორესპონდენციის მომზადებისა და რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციისა და შენახვის წესებს. ასევე, კოლეჯში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების საფუძვლებს. საქმისწარმოების დადგენილი წესები და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება ამ წესების დაცვით.

2. კოლეჯში მარნეულის ლოკაციაზე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, office 365, teams და სხვა პლატფორმებს. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების მიერ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამართულად გამოყენება.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია სრულად არის ასახული.

4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.(თვითშეფასების ანგარიშის დადგენილ ვადებში წარდგენა.) კოლეჯს გამოყოფილი ჰყავს პირი, ვინც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი მუდმივად აწვდის ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- კოლეჯის მიერ მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
- გასაუბრების შედეგები;

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და კოლეჯის ფეისბუქ-გვერდი, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; კოლეჯის ვებგვერდი განახლებულია, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის და პროგრამების შესახებ, მათ შორის კოლეჯის მისია, ასევე ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებების შესახებ, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულ სამართლებრივ აქტებში“ განთავსებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეცვლის ან გაუქმების, შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმების შესახებ, ასევე ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზებას და მართვის შესახებ. დაინტერესებულ პირს ვებგვერდზე ასევე შეუძლია ნახოს გაკვეთილების ცხრილი, საკონტაქტო ინფორმაცია და სიახლეები. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ვებგვერდზე პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას სტუდენტებისთვის - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge), განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტებისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაცია. კოლეჯის ფეისბუქ-გვერდი განახლებულია და ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2. კოლეჯის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობა ან უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება, და შესაბამისად კოლეჯის ვებგვერდი ქართულ ენაზე ფუნქციონირებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის თანახმად კოლეჯი 2020-21 წლისთვის აპირებს საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყებას. მიზანი N3-3. „2025 წლამდე საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში თანამშრომლობა პერსონალის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით“ და მიზანიN6. „ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა“. გასაუბრებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ გასული წლის ოქტომბერში კოლეჯმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ბალტიისპირეთის ქვეყნების 3 სხვადასხვა კოლეჯთან. ამ ეტაპზე კოლეჯი საპილოტე რეჟიმში ახორციელებს სპორტულ აქტივობებს მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი აპირებს განახორციელოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გაცვლითი პროგრამებიც. რეკომენდირებულია კოლეჯის უცხოენოვანი ვებ-გვერდის სრულყოფა, რადგან კოლეჯი გეგმავს საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნას.

3. ექსპერტთა შეფასებით ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს იმის შესახებ, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

4. ექპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდის მთავარ გვერდზე, და მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა, მიზანი და დევიზი, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ-პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი და სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. კატალოგში მოცემულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და კოლეჯის პარტნიორების ჩანონათვალი.

5. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამების კატალოგი. კატალოგი განახლებული და ასახულია პროფესიული პროგრამების მიხედვით განახლებული ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი. მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტები გაესაუბრნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს. მათი განმარტებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის აქტიურად იყენებენ კოლეჯის ვებგვერდს, და ფეიბუქ-გვერდს. ინფორმაციის განთავსება ხდება „გუგლში“ და საზოგადოებას საშუალება აქვთ შეაფასოს კოლეჯის აქტივობები, ასევე სვამენ კითხვებს სხვადასხვა საკითხის ირგვლივ, მათ შორის სტატუსის აღდგენის შესახებ. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის შესაბამისად (მუხლი11) მოხდება უკუკავშირის ანალიზი და შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესით;
- კოლეჯი მოდუსის ვებგვერდით;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგით http://www.modusi.ge/en/
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგით http://www.modusi.ge/wp-content/uploads/2021/04/2021.pdf https://www.facebook.com/modusi.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების - შემოწმების შედეგით;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგით.
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის მებოსტნეობა

პროგრამის სახელწოდება	მებოსტნეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძ.N36, 12.03.2021 / ბრძ.N 42, 10.02.2022.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30, მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება, მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის მებოსტნეობა

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტში, იაღლუჯის დასახლებაში სსიპ კოლეჯი მოდუსი ახორციელებს მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მებოსტნეობა“(მოდულური). წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკული გარემოსთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა კოლეჯმა სრულად ვერ განახორციელა წინა ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების პერიოდამდე. მიმდინარე ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმოების ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს დარგის ექსპერტმა გადაამოწმა მატერიალური რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. მატერიალური რესურსების დათვალიერებისას აღმოჩნდა, მცირე უზუსტობა. კერძოდ, სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერისა და ნისლის წარმომქმნელი აპარატის ნაცვლად დაგვხვდა სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერის შემცვლელი მარტივი ტიპის დამხმარე სასათბურე ნაგებობა, სადაც ხორციელდება კასეტებში გადარგული ჩითილების მოვლა-პატრონობა და შემდგომ გადასარგავად მომზადება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარგის ექსპერტის შეფასებით, ასეთი მარტივის ტიპის დამხმარე სასათბურე ნაგებობა, იძლევა შესაძლებლობას პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული, თუმცა მომავალში გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერაში გაკონტროლებული უნდა გვქონდეს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სარგავი მასალის / ჩითილების გამოშრობა. შესაბამისად სასურველია კოლეჯმა, სამომავლოდ გაითვალისწინოს და სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერის შემცვლელი მარტივი ტიპის სასათბურე მეუნრეობა აღჭურვოს ნისლის გამფრქვევი სპეციალური სპინკლერებით, რომლებიც მთელი სათბურის პერიმეტრზე უზრუნველყოფენ ფარდობითი ტენიანობის გაზრდას.

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ სარეაბილიტაციო (სამკურნალო) კამერა და ნისლის წარმომქმნელი აპარატი შესყიდულია კოლეჯის მიერ. შესყიდვები გაუმჯობესების გეგმის მიხედვით უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასრულებულიყო 2021წლის 30 დეკემბრისთვის, მაგრამ Covid 19-თ გამოწვეული პანდემიის გამო დაგვიანდა შესყიდული აპარატურის დროული ტრანსპორტირება თურქეთიდან საქართველოში. შესაბამისად ვიზიტის დროს ცვლილება შევიდა მატერიალური რესურსის ჩამონათვალში, დაზუსტდა მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და შესაბამისი ცვლილება შევიდა 3 მოდულში: „დახურული გრუნტის მოწყობა“, „ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში“, „მცენარის განვითარების სტადიების მართვა და კულტურათა ფორმირება დაცულ გრუნტში“. მოდულებში დაზუსტდა რამოდენიმე სწავლის შედეგის განხორციელების ადგილი, კერძოდ შერჩეული სწავლის შედეგები განხორციელდება სათბურში, ი.მ.ნაირა ბოლქვაძესა და კოლეჯს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად. **(იხ. დანართი 2).**

მიმდინარე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა მარნეულის მუნიციპალიტის მისამართზე „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი A, B და C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსი. აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით.

B გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის კომპიუტერებით, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სამუშაო ადგილით, კომპიუტერით, პროექტორით, დაფით და პრინტერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
A გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი რაოდენობის სასწავლო მაგიდებით და მერხებით, კომპიუტერით, პროექტორით და დაფით; ასევე A /C გარემო აღჭურვილია შესაბამისი რესურსით 15 პროფესიული სტუდენტისთვის.

დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება ორ ცვლაში. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 11 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ფ/პ დავით ჩხიტუნიძესთან, რომელიც იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები: ჩიზელით; ფარცხით (კბლილებიანი და დისკოებიანი);

კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანებით; 80 ცხენისძალიანი ტრაქტორით; ორგანული სასუქების შემტანი, გამფრქვევით; მინერალური სასუქის და პესტიციდების შემტანი, შესასხურებელი მისაბმელით; სარწყავი სისტემის კომპლექტი, დაწვიმებით; სათესი მანქანით(რომელსაც ქირაობს); პესტიციდის შემტანი საკიდით; სასუქის შემტანი გამფანტველი, მისაბმელი, საკიდით; სასუქის შემტანი შესასხურებელი, მისაბმელი, საკიდით; მცენარეთა დაცვის საშუალებების შემსხურებელი მანქანით; საფერტიგაციო სისტემის შემრევით; წვეთოვანი სარწყავი სისტემით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძესთან, რომელიც ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები: სათიბი დისკით (ტრაქტორზე მისაბმელი); ტრაქტორით; მცენარეთა დაცვის საშუალებების შემსხურებელი მანქანით; ფრეზით (ტრაქტორზე მისაბმელი); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიწის ნაკვეთით; პესტიციდის შემტანი მისაბმელით; პესტიციდის შემტანი საკიდით; სასუქის შემტანი მისაბმელი შესასხურებელით; სასუქის შემტანი გამფანტველი, მისაბმელი, საკიდით; წვეთოვანი სარწყავი სისტემით; სათბურით.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხორციელდა დისტანციური ჩართვა „მარნეული აგროში“, დათვალიერებულ იქნა ტექნიკა, ღია და დახურული გრუნტი, რასაც კოლეჯის პროფესიული სტუდენტები გამოიყენებენ პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად.

დაწესებულებას დამატებით გაფორმებული აქვს მემორანდუმი ფ/პ სალომე ასანიძესთან, რომელიც ვალდებულებას იღებს მარნეულის პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტით.

ექსპერტებმა მიმდინარე ვიზიტის დროს ასევე შეისწავლეს კოლეჯსა და ი.მ. ნაირა ბოლქვაძეს შორის 12.01.2022 გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი**(იხ. დანართი 4).** ვიზიტის დროს განხორციელდა დისტანციური ჩართვა ობიექტზე და მოხდა სათბურის დათვალიერება. ქალბატონმა ნაირამ დაადასტურა, რომ ერთბაშად შესაძლებელი იქნება პრაქტიკაზე მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი და ხელი შეუწყოს მათი თეორიული ცოდნის რეალიზებას.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რეკომენდირებულია უახლოეს დროში კოლეჯმა გააფორმოს ხელშეკრულება აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, მათ შორის ი.მ. ნაირა ბოლქვაძესთან, სადაც დაზუსტებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო დრო და პირობები.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯსა და შპს მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი**(იხ. დანართი 3),** ავტოპარკი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მოახდენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირების უზრუნველყოფას პრაქტიკის ობიექტებზე. ექსპერტებმა გამოთქვეს რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა საკუთარი რესურსით უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ტრანსპორტირება იმ პრაქტიკის ობიეტებზე, რომლებიც მოშორებულია კოლეჯიდან.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია **10** პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან **7** ზოგადი და **3** პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გაითვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც.

ექსპერტთა შეფასებით „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კოლეჯის „ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის“ შესაბამისად, რომლის დანართით - ინტერვიუს შედეგების ამსახველი ფორმა- განსაზღვრულია კანდიდატის შესაფასების კრიტერიუმები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები), კერძოდ სამუშაო გამოცდილება, განათლება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოტივაცია. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პოგრამის განმახორციელებლად შერჩეული ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, როგორც სწავლების გამოცდილების მქონე, ისე ახალი კადრი. პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეფასების კომპეტენცია; ახლად აყვანილ მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების და მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით (მე-3 მუხლი)საგნმანათლებლო პროგრამის/მოდულების შემუშავება/მოდიფიცირების პროცესს კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც განისაზღვრება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით პროგრამასთან ერთად; დაწესებულებას 2020 წლის 27 ივლისის №85 ბრძანებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის დამატებითი ფუნქციები, რომლის თანახმად: პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, სასწავლო გეგმების შედგენაში, ახორციელებს პროგრამის მიმდინარეობაზე მონიტორინგს და ეტაპობრივად წარადგენს ანგარიშს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვერიფიკაციის პროცესში, საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შემთხვევაში ინიცირებას უწევს პროგრამაში ცვლილების განხორციელებას. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, მან დაადასტურა, რომ იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა კოლეჯის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საერთო სარგებლობის სამი კომპიუტერი. შერჩევითად გადამოწმდა „მებოსტნეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, ყველა წიგნი ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტონული სახით .

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ 35-ე მუხლით გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რომლის თანახმად კოლეჯი ახორციელებს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებისათვის კოლეჯი იყენებს პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში). საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას.

7. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია მებოსტნეობის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაზუსტებული ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი, ბიუჯეტის მიხედვით მინ. 11 სტუდენტის დაფინანსება დაფარავს პროგრამის (1 ჯგუფის) განხორციელების ხარჯს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პრაქტიკის ობიექტებთან და შპს მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია, სულ 26 ფურცელი, წარმოდგენილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (არსებობის შემთხვევაში)- 1ფურცელი;
დანართი 2. პროგრამის ცვლილების შესახებ ბრძანება და დანართები -21ფურცელი;
დანართი 3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯსა და შპს მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს შორის- 2 ფურცელი;
დანართი 4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯსა და ი.მ. ნაირა ბოლქვაძეს შორის- 2 ფურცელი;

22.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: